

დედა ფუტკრის მიცემა გადასაგზავნი გალიით


გადასაგზავნი გალიით დედა ფუტკრის მიცემა ძალიან გავრცელებულია მეფუტკრეებს შორის, ამავე დროს მარტივი და ნაკლებ შრომატევადია.

გადასაგზავნი გალიებით მიღებულ განაყოფიერებულ დედა ფუტკრებს მეფუტკრე იყენებს ძირითადად შემდეგი მიზნებისათვის:

1. ახალი ოჯახების ან ხელოვნური ნაყრების შესაქმნელად.
2. ძველი დედა ფუტკრების შესაცვლელად ახალგაზრდებით.
3. დედა ფუტკრების შესაცვლელად, რათა საფუტკრეში შეიცვალოს ჯიში ან ხაზი.
4. ცრუდედიანი ოჯახების გამოსასწორებლად.

ცხადია, მე-2 და მე-3 შემთხვევა, დედა ფუტკრის მიცემის თვალსაზრისით, არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან და ჩვენც ერთად განვიხილავთ.

გადასაგზავნი გალიებით განაყოფიერებული დედა ფუტკრის მიცემის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გზაში დედა ფუტკარი არ დებს კვერცხს და განიცდის ფიზიოლოგიურ ცვლილებას. ამიტომ ის შედარებით ნაკლებ მიმზიდველია მუშა ფუტკრებისათვის. გადასაგზავნი გალიებიდან ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებულია ბენტონის გალია, რომელიც წარმოადგენს ხის ყუთს, ზომით 20×30×70 მმ. მასში ამოხვრეტილია სამი 22-24 მმ-იანი ნახვრეტი. აქედან ერთი განკუთვნილია საკვებისათვის, ხოლო დანარჩენი ორი დედა ფუტკრისა და გამყოლი ფუტკრებისათვის. ზემოდან მას ეფარება ცელოფანი, პლასტმასის ან მავთულის ბადე. სურ. #1



გაუმჯობესებულ ბენტონის გალიას ტორსზე აქვს 6-7 მმ-იანი ნახვრეტი, რომელიც უერთდება ყანდით სავსე განყოფილებას და თვითონაც ივსება ყანდით. გარედან ნახვრეტი დაფარულია სპეციალური საცობით, დამცავი ფირფიტით ან სამაგრით, რათა მუშა ფუტკრებმა დროზე ადრე ვერ შეაღწიონ დედა ფუტკართან.

1. თუ ბენტონის გალიას მავთულბადე ან პლასტმასის ბადე აფარია, ასეთ შემთხვევაში გალიაში მოთავსებული დედა ფუტკარი თავისი გალიით შეიძლება პირდაპირ მოვათავსოთ


უდედო ოჯახში. გალიას ვამაგრებთ ჩარჩოებს შორის, სასურველია - ბარტყთან ახლოს, ისე, რომ ფუტკრებს ბადესთან მისვლის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ერთი-ორი დღის შემდეგ ვხსნით საფარ ტილოს და ვნახულობთ მუშა ფუტკრების რეაქციას გალიაში მოთავსებულ დედა ფუტკარზე. თუ ისინი თხლად და წყნარად სხედან ბადიან მხარეზე, ცდილობენ დედა ფუტკრის კვებას და თითის ან ასტამის გატარების დროს გზას ადვილად უთმობენ, მაშინ დედა ფუტკარი მიღებულია. ახლა უკვე შესაძლებელია დედის გამოსაშვებ ნახვრეტს საცობი ან ფირფიტა მოვაცილოთ და ვაცალოთ ფუტკრებს თვითონ გაათავისუფლონ დედა ფუტკარი ყანდის ათვისების შემდეგ.

თუ მუშა ფუტკრები ყბებით (მანდიბულებით) არიან ჩაჭიდებული ბადეს, არ სცილდებიან გალიას თითის გატარების დროს, ან ერთიან მორგვად არიან ჩაფრენილ-ჩაბლაუჭებული გალიის ბადეს, მაშინ დედა მიღებული არ არის. უნდა დავათვალიეროთ ყველა ჩარჩო, ჩამოვუშალოთ წამოწყებული სადედეები ან მოვაცილოთ შემთხვევით გადაყოლილი ძველი დედა. გალიას დედა ფუტკრით ვათავსებთ იმავე მდგომარეობაში და ერთი-ორი დღის შემდეგ პროცედურა მეორდება.


2. იმ შემთხვევაში, თუ გალიას ცელოფანი ან კინოფირი აქვს დაფარებული, ისინი შეიძლება შევცვალოთ ბადით. ასეთნაირად მოდერნიზებული გალია შეიძლება მოვათავსოთ ჩარჩოებს შორის, როგორც ი შემთხვევაში.

3. უკანასკნელ წლებში ხის გალიის მაგივრად შემოვიდა პლასტმასის გადასაგზავნი გალიები, რომლებსაც დედა ფუტკრის გამოსაშვები ნახვრეტიც აქვთ და ორმხრივად დატანებული წვრილი (2x2 მმ) ნახვრეტები. სურ #2.



ცხადია, ასეთი გალიით დედა ფუტკრის მიცემა არაფრით განსხვავდება 1 შემთხვევისაგან.

დედა ფუტკრის გადასაგზავნი-მისაცემ ზოგიერთ პლასტმასის გალიას აქვს ორი კორიდორი, მოკლე, 25 მმ სიგრძისა და გრძელი, 35-40 მმ სიგრძისა. სურ #3



სურ #3

ამასთან მოკლე კორიდორის შესასვლელი 4,2 მმ-ია და განკუთვნილია მუშა ფუტკრებისათვის, მეორე გრძელი კორიდორის შესასვლელი 6-7 მმ-ია და განკუთვნილია დედა ფუტკრის გამოსასვლელად. ორივე ნახვრეტი დაფარულია მოძრავი ფირფიტით, რომელიც კეტავს შესასვლელს. ასეთ გალიებში მოთავსებული დედა ფუტკარი პირდაპირ თავსდება უდედო ფუტკრის ოჯახში, ხოლო საფარი ფირფიტა მაშინ უნდა მოვაცილოთ, როცა დავრწმუნდებით, რომ მუშა ფუტკრები აგრესიულად აღარ არიან განწყობილი დედა ფუტკრის მიმართ.